საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება

05/09/2025 N 206/04

თბილისი

ი/მ ევგენია მერებაშვილის 2025 წლის 14 ივლისის საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1 მომჩივანის პოზიცია

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - „სააგენტო“) 2025 წლის 14 ივლისს წარდგენილ იქნა ი/მ ევგენია მერებაშვილის (პ/ნ 01001054936) საჩივარი სს „ოპპას“ (ს/ნ 248429598) წინააღმდეგ. 2025 წლის 15 ივლისის დაზუსტებული საჩივრით ირკვევა, რომ მომჩივანი სადავოდ ხდის სს „ოპპას“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევას.

კანონის 31-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, დავის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრის მიზნით, 2025 წლის 16 ივლისის №02/3115 წერილით საჩივარი განსახილველად გადმოგზავნილ იქნა საქართველოს ეროვნულ ბანკში (შემდგომში - „ეროვნული ბანკი“). ეროვნული ბანკის 2025 წლის 24 ივლისის №2-14/2767 საპასუხო წერილის შესაბამისად, დავის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოდ ეროვნული ბანკი განისაზღვრა.

მომჩივანი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უთითებს, რომ ფლობს სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს (კიოსკებს), რომელთა ფუნქციონირებისთვის აუცილებელია პროგრამული უზრუნველყოფა (სოფტი). გარკვეული პერიოდი მას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერ შპს „ნუმუსთან“ (ს/ნ 406171654) და ფუნქციონირებდა, როგორც შპს „ნუმუსის“ აგენტი, თუმცა, 2025 წლის 1-ლი მაისიდან, მომჩივანის ცნობით, შპს „ნუმუსმა“ შეწყვიტა სადილერო მომსახურება ყველა აგენტთან და დილერთან და მომჩივანი იძულებული გახდა, ესარგებლა სს „ოპპას“ მომსახურებით. შესაბამისად, შპს „ნუმუსთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომ, მის საკუთრებაში არსებული 24 კიოსკის ფუნქციონირებისთვის მომჩივანი იყენებდა „ფეიბოქსის“ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელსაც შუამავალი კომპანიის - შპს „კიბერ ფეის“ (ს/ნ 405599339) გავლით, იღებდა სს „ოპპასგან“. შესაბამისად, ამ ურთიერთობაში ი/მ ევგენია მერებაშვილი მონაწილეობდა ქვეაგენტის სტატუსით (ეროვნულ ბანკში წარმოდგენილია შპს „კიბერ ფეისა“ და მომჩივანს შორის გაფორმებული ქვეაგენტის ხელშეკრულება) და მას ხელშეკრულება სს „ოპპასთან“ გაფორმებული არ ჰქონია.

ამასთან, ეროვნულ ბანკში მომჩივანის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ი/მ ევგენია მერებაშვილს, როგორც ქვეაგენტს, დამატებით ჰყავს თავისი ქვეაგენტები, რომლებიც კიოსკების ფუნქციონირებისთვის ასევე იყენებენ სს „ოპპას“ პროგრამას, თუმცა პროვაიდერს ამ ეტაპზე მათთვის სოფტის მიწოდება არ შეუწყვეტია.

საჩივრის ავტორის განმარტებით, „ფეიბოქსის“ გარდა ბაზარზე არ არსებობს სხვა პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მისი სწრაფი ჩარიცხვის აპარატების ფუნქციონირებისთვის და სს „ოპპა“, როგორც ამ სოფტის მფლობელი, არის მონოპოლისტი ქართულ ბაზარზე. მომჩივანის თანახმად, 2025 წლის 09 ივლისს, სს „ოპპამ“ შეტყობინების გარეშე შეუწყვიტა პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება მომჩივანის კიოსკებს და შესაბამისად, მისი აპარატები აღარ ფუნქციონირებს. ი/მ ევგენია მერებაშვილი მიიჩნევს, რომ მოპასუხე კომპანია ბოროტად იყენებს დომინანტურ მდგომარეობას, რითიც ზიანს აყენებს მომჩივანს. დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება კი გამოიხატება მოპასუხის მიერ კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევაში (წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა და გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება), რამდენადაც აპარატებისთვის სოფტის გათიშვით შეიზღუდა მომჩივანისა და ამ ტერმინალებით მოსარგებლე მომხმარებელთა უფლებები, ამასთან, სს „ოპპას“ სოფტით სარგებლობა შეუძლია ყველა სხვა სუბიექტს, გარდა ი/მ ევგენია მერებაშვილისა, რაც მომჩივანს ართმევს შესაძლებლობას, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, უწესებს სხვა სუბიექტისაგან განსხვავებულ პირობებს და აყენებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში.

1.2. მოპასუხის პოზიცია საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით

ი/მ ევგენია მერებაშვილის საჩივართან დაკავშირებით, ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ იქნა სს „ოპპას“ 2025 წლის 12 აგვისტოს №215 წერილობითი პოზიცია, რომლითაც მოპასუხემ აღნიშნა, რომ ის, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას, ისევე, როგორც ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული არაერთი სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერი და შეუძლებელია იმის დაშვება, რომ სს „ოპპა“ რაიმე ფორმით შეიძლება წარმოადგენდეს თავისი საქმიანობის განხორციელებისას დომინანტ ეკონომიკურ აგენტს.

მოპასუხე მიიჩნევს, რომ მომჩივანს უარი უნდა ეთქვას საქმის მოკვლევის დაწყებაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის“ (შემდგომში - „საქმის მოკვლევის წესი“) მე-6 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ვინაიდან საჩივარი არ წარმოუდგენია უფლებამოსილ პირს და არ არსებობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.

მოპასუხე ეკონომიკური აგენტი ი/მ ევგენია მერებაშვილს საჩივრის წარმოდგენაზე არაუფლებამოსილ პირად მიიჩნევს იმ დასაბუთებით, რომ მას არ მიუმართავს სს „ოპპასთვის“ გარიგების დასადებად და თავისი ტერმინალების სს „ოპპას“ სისტემაში ჩასართავად. შესაბამისად, პროვაიდერი ვერ შეძლებდა დაერღვია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ქვეპუნქტი. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება ბაზარზე მისი პოზიციის დომინანტურ მდგომარეობად შეფასებას, თუმცა, დომინანტური მდგომარეობის ქონის შემთხვევაშიც კი, ის მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების მის მიერ განხორციელება, შესაბამისად, შეუძლებელია კანონის მე-6 მუხლის დარღვევაზე მსჯელობა.

მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მის სისტემაში მომჩივანის სახელზე არ არსებობს არანაირი დაშვება და მომჩივანი მტკიცებულებებით ვერ ასაბუთებს მის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

1.3. ეროვნული ბანკის მიერ დამატებით მოძიებული ინფორმაცია

ეროვნული ბანკის მონაცემებით, სს „ოპპა“ რეგისტრირებულია საგადახდო მომსახურების პროვაიდერად, ხოლო შპს „კიბერ ფეი“ წარმოადგენს მის აგენტს. ამასთან, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე მოცემულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერების აგენტების სიაში (https://nbg.gov.ge/payment-system/providers) ი/მ ევგენია მერებაშვილი (პ/ნ 01001054936) ფიქსირდება საგადახდო მომსახურების პროვაიდერის - შპს „ნუმუსის“ (ს/ნ 406171654) აქტიურ აგენტად. დამატებით, მომჩივანის მიერ წარმოდგენილ იქნა მასსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული ქვეაგენტის ხელშეკრულება, შესაბამისად, ეროვნულმა ბანკმა მიზანშეწონილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის მიზნით დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია გამოეთხოვა მოპასუხისგან, შპს „კიბერ ფეისგან“ და შპს „ნუმუსისგან“.

ეროვნული ბანკის №2-14/3060 (14.08.2025) წერილის პასუხად, სს „ოპპას“ მიერ წარმოდგენილ იქნა №225 (19.08.2025) წერილობითი პოზიცია, რომელსაც თან ერთოდა შპს „კიბერ ფეისთვის“ გადახდების მიღების უფლების/აგენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე ბრძანება და სს „ოპპასა“ და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული აგენტის ხელშეკრულება.

წარმოდგენილ წერილში მოპასუხემ აღნიშნა, რომ ის არ ყოფილა ინფორმირებული შპს „კიბერ ფეის“ მიერ ქვეაგენტების ყოლის ფაქტთან დაკავშირებით და ქვეაგენტის ყოლის უფლება აქვს მხოლოდ პროვაიდერ კომპანიას. მოპასუხის განმარტებით, აგენტსა და მესამე პირს შორის ვერ გაფორმდება ქვეაგენტის შესახებ ხელშეკრულება. მომჩივანის მიერ მითითებული პროგრამული ნომრების მქონე კონკრეტული ტერმინალები, სს „ოპპას“ სისტემაში ჩართული იყო შპს „კიბერ ფეის“ მიმართვის საფუძველზე, შესაბამისად, აღნიშნული ტერმინალები ოპერირებდნენ სს „ოპპასა“ და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აგენტის წერილობითი მიმართვის შესაბამისად. ტერმინალების გათიშვის მიზეზად მოპასუხე ასახელებს იმ გარემოებას, რომ ტერმინალების განთავსების ადგილების მონიტორინგის შედეგად, მას გაუჩნდა ეჭვი, რომ

შპს „კიბერ ფეის“ შესაძლოა ჰყოლოდა ქვეაგენტი, რომელთანაც სს „ოპპას“ არ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული და ამ ეტაპზე, მიმდინარეობს პროვაიდერის მიერ აგენტისგან ინფორმაციის სრულად გამოთხოვის პროცესი.

ეროვნული ბანკის №2-14/3038 (13.08.2025) წერილის პასუხად, შპს „ნუმუსის“ მიერ 2025 წლის 22 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ მასსა და მომჩივანს შორის 2024 წლის 01 ივნისს გაფორმებული აგენტის ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეწყდა 2025 წლის 30 აპრილს, ამასთან, შპს „ნუმუსი“ ბაზარზე ოპერირებს ქვეაგენტების გარეშე და მიმდინარე მდგომარეობით ჰყავს 4 (ოთხი) აქტიური აგენტი: შპს „ფეიბოქსი“, სს „მიკრობანკი კრისტალი“, სს „კრედო ბანკი“ და შპს „მანი მუვერს“.

ეროვნული ბანკის №2-14/3037 (13.08.2025) წერილის პასუხად, შპს „კიბერ ფეის“ მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ შპს „კიბერ ფეის“ მხრიდან არ მომხდარა სს „ოპპას“ ინფორმირება შპს „კიბერ ფეისა“ და ი/მ ევგენია მერებაშვილს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. ამასთან, შპს „კიბერ ფეისთვის“ უცნობი იყო მომჩივანის აპარატებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის შეტყობის შემდგომ, შპს „კიბერ ფეიმ“ სს „ოპპასთან“ კომუნიკაციით დაადგინა, რომ სს „ოპპას“, მონიტორინგის შედეგად გაუჩნდა ეჭვი, რომ კონკრეტული სწრაფი ჩარიცხვის აპარატები არასწორად იყო ჩართული ქსელში, რის გამოც, შეწყვიტა პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდება.

ამასთან, შპს „კიბერ ფეი“ არ არის ინფორმირებული, ჰყავს თუ არა მომჩივანს ქვეაგენტები, რომელთაც შესაძლოა შპს „კიბერ ფეის“ მომსახურების გავლით მიეწოდებოდეთ სს „ოპპას“ სოფტი. აღნიშნული ინფორმაციის დასადგენად შპს „კიბერ ფეის“ გამოთხოვილი აქვს ინფორმაცია მომჩივანისგან, რაზეც პასუხი წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, ამ ეტაპზე, შპს „კიბერ ფეი“ მოკლებულია შესაძლებლობას, ეროვნულ ბანკს მოაწოდოს ინფორმაცია მომჩივანის შესაძლო ქვეაგენტების შესახებ.

ეროვნულმა ბანკმა სს „ოპპასა“ და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებულ აგენტის ხელშეკრულებაში მითითებული სახელშეკრულებო პირობების შინაარსის დაზუსტების მიზნით, №2-14/3149 (22.08.2025) წერილით გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია მოპასუხისგან.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2025 წლის 19 აგვისტოს №225 წერილში სს „ოპპას“ მიერ მითითებული იყო, რომ ქვეაგენტის ყოლის უფლება აქვს მხოლოდ პროვაიდერ კომპანიას და აგენტსა და მესამე პირს შორის ვერ გაფორმდება ქვეაგენტის შესახებ ხელშეკრულება. ამასთან, აგენტის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების (დანართი №5) 1.5 მუხლის შესაბამისად, აგენტსა და ქვეაგენტს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები, მათ შორის, საკომისიოს ოდენობა და ანგარიშსწორების პირობები განისაზღვრება აგენტსა და ქვეაგენტს შორის არსებული ხელშეკრულებით. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ქვეაგენტი, მიღებული გადახდებისთვის საკომისიოს იღებს აგენტისგან.

შესაბამისად, მოპასუხეს ეთხოვა დაეზუსტებინა, რას მოიაზრებდა აგენტის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების (დანართი №5) 1.5 მუხლით გათვალისწინებული, აგენტსა და ქვეაგენტს შორის არსებული ხელშეკრულება.

სს „ოპპას“ მიერ წარმოდგენილ იქნა 2025 წლის 27 აგვისტოს №232 წერილობითი პოზიცია, რომელშიც მოპასუხე ყურადღებას ამახვილებს მასსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული აგენტის ხელშეკრულების ზოგადი პირობების 2.1 მუხლზე და განმარტავს, რომ აგენტი უფლებამოსილია კანონმდებლობითა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების დაცვით გადახდის უფლება გადასცეს სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს, ხოლო ამ უფლების განხორციელება უნდა მოხდეს პროვაიდერსა და აგენტს შორის შეთანხმებული წესების დაცვით.

სს „ოპპა“ წარმოდგენილ წერილში მიუთითებს აგენტის ხელშეკრულებაში ქვეაგენტთან დაკავშირებულ პირობებზე, კერძოდ, განმარტავს, რომ ხელშეკრულების მიხედვით, სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს ქვეაგენტის სტატუსი და გადახდების მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ პროვაიდერის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდგომ, ამასთან, სხვა მეწარმე სუბიექტისთვის ქვეაგენტის სტატუსის და გადახდის მიღების უფლების მინიჭება წარმოადგენს პროვაიდერის უფლებას და არა ვალდებულებას და ქვეაგენტის სტატუსის და გადახდების მიღების უფლების მინიჭებისთვის ქვეაგენტის სტატუსის მქონე პირმა უნდა წარადგინოს პროვაიდერის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ასევე, რომ ქვეაგენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში აგენტი ვალდებულია პროვაიდერს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები, ამასთან, აგენტი ვალდებულია წარუდგინოს პროვაიდერს ყველა მისი ქვეაგენტის ტერმინალის ჩართვის ფორმა, რომლებიც გადახდების მიღებას ახორციელებენ მისი მეშვეობით.

ზემოაღნიშნული სახელშეკრულებო პირობების შინაარსის გათვალისწინებით, მოპასუხე აგენტის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების (დანართი №5) 1.5 მუხლთან დაკავშრებით განმარტავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი მოიაზრებს აგენტსა და ქვეაგენტს შორის ისეთი ტიპის ხელშეკრულებას, რომელიც შეიძლება გაფორმდეს მხოლოდ პროვაიდერის მიერ, აგენტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, მესამე პირისთვის ქვეაგენტის სტატუსის მინიჭებისა და მასთან ქვეაგენტის ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე.

რამდენადაც სს „ოპპას“ მომჩივანისთვის არ აქვს მინიჭებული ქვეაგენტის სტატუსი და არც ქვეაგენტის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მასთან, აგენტსა და მესამე პირს შორის ვერ გაფორმდებოდა ქვეაგენტის ხელშეკრულება. პროვაიდერსა და ქვეაგენტს შორის ქვეაგენტის ხელშეკრულების საფუძველზე, აგენტსა და ქვეაგენტს შორის დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ მათ შორის შეთანხმდეს საკომისიოს ოდენობა და ანგარიშსწორების წესი, რადგან საკომისიოს ოდენობა არ თანხმდება პროვაიდერსა და ქვეაგენტს შორის დადებული ქვეაგენტის ხელშეკრულებით და პროვაიდერს ანგარიშსწორების ვალდებულება აქვს მხოლოდ აგენტის წინაშე.

წარმოდგენილ წერილს თან ერთვის შპს „კიბერ ფეისა“ და სს „ოპპას“ შორის ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებული მიმოწერა, რომელიც შეეხება მომჩივანის მიერ მითითებული, კონკრეტული პროგრამული ნომრების მქონე ტერმინალების სს „ოპპას“ სისტემაში ჩართვის მოთხოვნას.

1.4. მომჩივანის დამატებითი პოზიცია

მომჩივანი დამატებით წარმოდგენილ, 2025 წლის 22 აგვისტოს პოზიციაში აღნიშნავს, რომ სს „ოპპასთვის“ ცნობილია ფაქტი, რომ ბაზარზე მხოლოდ ის არის სოფტის მიმწოდებელი კომპანია, რამდენადაც შპს „ნუმუსის“ მიერ აგენტებთან ხელშეკრულებების შეწყვეტის შემდეგ, შპს „ნუმუსის“ არაერთმა აგენტმა დაიწყო სს „ოპპას“ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება და სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებს, რომლებზეც საუბარია მოპასუხის წერილში, არ აქვთ სადილერო მომსახურების სერვისი.

მომჩივანი ადასტურებს, რომ მას არ მიუმართავს უშუალოდ სს „ოპპასთვის“ ხელშეკრულების გასაფორმებლად, ვინაიდან ბაზარზე ათასობით მომხმარებელი სარგებლობს ქვეაგენტის სტატუსით და ოპერირებს ამგვარი ბიზნეს მოდელით, შესაბამისად, ი/მ ევგენია მერებაშვილმაც აირჩია სს „ოპპას“ აგენტთან - შპს „კიბერ ფეისთან“ ქვეაგენტის ხელშეკრულების გაფორმება და ამ მოდელით ოპერირება ბაზარზე.

მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სს „ოპპასთვის“ ცნობილია მისი აგენტის - შპს „კიბერ ფეის“ მიერ ქვეაგენტების ყოლის ფაქტთან დაკავშირებით, მეტიც, არა მხოლოდ შპს „კიბერ ფეის“, არამედ სს „ოპპას“ ყველა აგენტს ჰყავს თავისი ქვეაგენტები. იმის დასადასტურებლად, რომ პროვაიდერისთვის ცნობილია ქვეაგენტების თაობაზე, მომჩივანი აღნიშნავს, რომ სს „ოპპას“ ზოგიერთი აგენტისა და ქვეაგენტის ტერმინალების ბალანსებზე განთავსებული აქვს თავისი კუთვნილი თანხები, ამასთან, ყველა აგენტის ქვეაგენტს სს „ოპპას“ მიერ მინიჭებული აქვს საავანსო კოდები, საიდანაც ხდება თანხის შევსება ტერმინალების ბალანსებზე. ამასთან, მოპასუხე თითოეულ ქვეაგენტს ანიჭებს წვდომას შესაბამის პროგრამაში (ე.წ. „ჯუნიორის პროგრამა“). მომჩივანი აღნიშნავს, რომ სს „ოპპას“ მიერ მხოლოდ აგენტების მეშვეობით ოპერირების განხორციელების შემთხვევაში, მას არ დასჭირდებოდა ამდენი საავანსო კოდის ქონა და პროგრამაში წვდომის დაშვება.

ამასთან, 2025 წლის 05 სექტემბერს წარმოდგენილ პოზიციაში მომჩივანი დამატებით უთითებს, რომ შპს „კიბერ ფეის“ ნამდვილად არ უცნობებია სს „ოპპასთვის“, მომჩივანსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზე, თუმცა აღნიშნულის ვალდებულება შპს „კიბერ ფეის“ არც გააჩნდა, რამდენადაც „ოპპას” არასდროს გაუფრთხილებია შპს „კიბერ ფეი”, რომ მას ქვეაგენტის ყოლის უფლება არ ჰქონდა. ამასთან, იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხისთვის ცნობილია მისი აგენტების მიერ დამატებით ქვეაგენტების ყოლის ფაქტთან დაკავშირებით, მომჩივანმა წარმოდგენილ პოზიციას დაურთო ცხრილი (Excel-ის დოკუმენტი), რომელიც, მისი მითითებით, მისთვის გაგზავნილია სს „ოპპას“ მიერ და ასახავს საქართველოს მასშტაბით განთავსებული 18 480 ტერმინალის ჩამონათვალს. როგორც მომჩივანი განმარტავს, გადმოგზავნილ სიაში შედის მოპასუხის საკუთარი ტერმინალები, სულ ჯამში 2500 - 3000 ტერმინალი, ასევე, ამ

რაოდენობას შეიძლება დაემატოს იმ ქვეაგენტების ტერმინალებიც, რომლებთანაც სს „ოპპას“ გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, თუმცა, დარჩენილი ტერმინალები, დაახლოებით 15 000 ტერმინალი, მინი და პოსტ ტერმინალების ჩათვლით, ეკუთვნით უშუალოდ დილერებს და მათ ქვეაგენტებს, რაც, რა თქმა უნდა, ცნობილია სს „ოპპასთვის“. მომჩივანი უთითებს, რომ გადმოგზავნილი ცხრილის ბოლო ორი ველი (FRIST _ NAME და LAST _ NAME) ძირითად შემთხვევაში ცარიელია. მისი შეფასებით, სწორედ აღნიშნული ადასტურებს, რომ კონკრეტული ტერმინალი ეკუთვნის რომელიმე დიდი დილერს ან დიდი დილერის ქვეაგენტს და მათზე არანაირი დამატებითი ინფორმაცია სს „ოპპას“ არ გააჩნია.

1.5. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები

მოპასუხის მიერ ეროვნულ ბანკში წარმოდგენილია 2023 წლის 01 მარტის №1.3.1.2023 ბრძანება, რომლითაც სს „ოპპამ“, შპს „კიბერ ფეის“ მიანიჭა გადახდის მიღების უფლების/აგენტის სტატუსი და მასსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის, ამავე ნომრითა და თარიღით გაფორმებული აგენტის ხელშეკრულება.

აგენტის ხელშეკრულების ზოგადი პირობების 1.1 და 1.2 მუხლების შესაბამისად, პროვაიდერი ანიჭებს უფლებამოსილებას აგენტს, განახორციელოს საგადახდო მომსახურების მიწოდება, პროვაიდერის სახელით, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. აგენტი, საკუთარი ან პროვაიდერის პროგრამული უზრუნველყოფით, შესაბამისი ტექნიკური საშუალებით, პროვაიდერის სახელით იღებს გადახდებს კლიენტისგან/გადამხდელისგან მიმღების სასარგებლოდ. აგენტი ვალდებულია მიღებულ/მისაღებ გადახდებზე მოახდინოს პროვაიდერთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ზოგადი პირობების 2.1 მუხლის შესაბამისად, პროვაიდერის მიერ აგენტისთვის აგენტის სტატუსის მინიჭება გულისხმობს ა) აგენტის უფლებას, პროვაიდერის სახელით მიიღოს გადახდები კანონმდებლობითა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების დაცვით; ბ) აგენტის უფლებას, კანონმდებლობითა და მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების დაცვით გადახდების უფლება გადასცეს სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს; გ) აგენტის ვალდებულებას, პროვაიდერის სახელით საგადახდო მომსახურების გაწევისას მკაცრად დაიცვას საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით, ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული წესები.

ზოგადი პირობების 4.4 მუხლის შესაბამისად, აგენტი ვალდებულია წარუდგინოს პროვაიდერს წინამდებარე ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია მასზე და მასთან დაკავშირებულ ქვეაგენტებზე.

სპეციფიკური პირობების (დანართი №2) 1.6 მუხლის მიხედვით, პროვაიდერის აგენტი არის პირი, რომელიც პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საგადახდო მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს ამ პროვაიდერის სახელით, ხოლო 1.7 მუხლის თანახმად, აგენტის ქვეაგენტი არის პირი, რომლისთვისაც ქვეაგენტის სტატუსის

მინიჭების საფუძველია აგენტის მიმართვა პროვაიდერისთვის და რომელიც საგადახდო მომსახურების მიწოდებას ახორციელებს თავისი ან აგენტის ბალანსით/ლიმიტით.

სპეციფიკური პირობების (დანართი №2) 2.1.4 მუხლის შესაბამისად, აგენტის ან მისი ქვეაგენტის ტერმინალებით განხორციელებული წარუმატებელი ტრანზაქციის, გადახდის მცდელობის ან სხვა შემთხვევაში, როდესაც დგება მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნების ვალდებულება, მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნებას ახორციელებს პროვაიდერი და აგენტი არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს მომხმარებელთან ანგარიშსწორება.

სპეციფიკური პირობების (დანართი №2) 2.1.22 მუხლის შესაბამისად, აგენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მიაწოდოს პროვაიდერს როგორც საკუთარი, ისე თავისი ქვეაგენტების აპარატის/აპარატების განთავსების მისამართი/მისამართები, განთავსების შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის მითითებით. აგენტი ვალდებულია ახალი მისამართის დამატების, არსებულის ამოღების ან/და ცვლილების ფაქტის დადგომიდან 3 დღეში აცნობოს პროვაიდერს.

სპეციფიკური პირობების (დანართი №2) 2.3.3 მუხლის თანახმად, პროვაიდერი უფლებამოსილია განახორციელოს აგენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და ადგილზე შემოწმება. 5.6 მუხლის შესაბამისად, აგენტისთვის ცნობილია, რომ მის მიერ გაწეული საგადახდო მომსახურების პროცესში მოპოვებული ნებისმიერი ინფორმაცია, მიღებული როგორც გადამხდელისგან, ასევე პროვაიდერისგან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან, წარმოადგენს პროვაიდერის საკუთრებას და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს პროავიდერს.

სპეციფიკური პირობების (დანართი №5) 1.1, 1.2 და 1.3 მუხლების შესაბამისად, აგენტი უფლებამოსილია ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული გადახდების მიღების უფლება გადასცეს სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს მხოლოდ ხელშეკრულებით, მათ შორის, წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესით. სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს ქვეაგენტის სტატუსი და გადახდების მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ პროვაიდერის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდგომ, ბრძანებაში მითითებული თარიღიდან. სხვა მეწარმე სუბიექტისთვის ქვეაგენტის სტატუსის და გადახდის მიღების უფლების მინიჭება წარმოადგენს პროვაიდერის უფლებას და არა ვალდებულებას.

1.4 მუხლის თანახმად, ქვეაგენტის სტატუსის და გადახდების მიღების უფლების მინიჭებისთვის ქვეაგენტის სტატუსის მქონე პირმა უნდა წარადგინოს პროვაიდერის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას.

სპეციფიკური პირობების (დანართი №2) 7.2.1 და 7.2.3 მუხლების შესაბამისად, პროვაიდერი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და გათიშოს ტერმინალი, თუ აგენტის მხრიდან დაფიქსირდება ხელშეკრულების რომელიმე პირობის უხეში და სისტემატიური დარღვევა ან თუ აგენტი პროვაიდერს აწვდის ყალბ და არასწორ ინფორმაციას.

მომჩივანის მიერ წარმოდგენილი, ი/მ ევგენია მერებაშვილსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის 2024 წლის პირველ დეკემბერს გაფორმებული ქვეაგენტის ხელშეკრულების 1.1 მუხლის მიხედვით, აგენტი ანიჭებს უფლებამოსილებას ქვეაგენტს განახორციელოს საგადახდო მომსახურების მიწოდება.

ხელშეკრულების 9.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით. მიუხედავად ხელშეკრულების ძალაში შესვლისა, ქვეაგენტს გადახდების მიღების უფლებამოსილება ენიჭება პროვაიდერის მიერ ქვეაგენტისთვის სტატუსის მინიჭებისა და გადახდების მიღების უფლებამოსილების შესახებ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს დომინანტურ მდგომარეობას. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47^8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებულ სფეროში „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას უზრუნველყოფს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი ამ კანონითა და „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განიხილავს საფინანსო სექტორის წარმომადგენლის (გარდა ანგარიშვალდებული საწარმოსი), სესხის გამცემი სუბიექტის ან საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივარს/განცხადებას და კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინებას. ამ პროცესში ეროვნული ბანკი ხელმძღვანელობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავის მხრივ, კანონის 31-ე მუხლი განსაზღვრავს ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოების მიერ ამ კანონის დებულებათა გამოყენების ფარგლებს და ადგენს შემთხვევებს, როდესაც სავარაუდო კანონდარღვევებს განიხილავენ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ორგანოები. აღნიშნული ნორმის განმარტების შედეგად დგინდება, რომ ეროვნული ბანკი განიხილავს საკითხს, როდესაც კანონის სავარაუდო დამრღვევ(ებ)ად საჩივარში მითითებული სუბიექტ(ებ)ი არის/არიან ეროვნული ბანკის რეგულირებას დაქვემდებარებულ სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტ(ებ)ი და ამასთანავე, სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედება (დავის საგანი) შეეხება ეროვნული ბანკის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროს.

კანონის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის საფუძველზე მიღებული სააგენტოს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული საკითხები წესრიგდება ეკონომიკის შესაბამისი რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობით.

2.2. პროცედურული ნაწილი

საქმის მოკვლევის წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განიხილოს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საქმე, მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ ეკონომიკის რეგულირებად სფეროში.

ამავე მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით და ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

საქმის განხილვის წესის მე-6 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას ეროვნული ბანკი შეისწავლის საჩივრის კანონმდებლობასთან შესაბამისი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. განსაზღვრულ ვადაში ეროვნული ბანკი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

ზემოაღნიშნულ ვადაში ეროვნული ბანკი შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. ეროვნული ბანკი ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია ხსენებული წესის მე-6 მუხლის მე-8 პუნქტში.

2.3. საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

„საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჩ“ და „ჰ[8]“ პუნქტების შესაბამისად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი არის იურიდიული პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მომხმარებელს უწევს საგადახდო მომსახურებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგენტი კი არის

პირი, რომელიც საგადახდო მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელით.

42-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ამ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მე-13 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად, საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია საგადახდო მომსახურება განახორციელოს აგენტის/აგენტების მეშვეობით. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს აგენტის/აგენტების შესახებ ინფორმაციის მისთვის წარდგენის წესი. საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც საგადახდო მომსახურებას აგენტის მეშვეობით ახორციელებს ან/და თავის საქმიანობაში აუთსორსინგულ კომპანიას იყენებს, მესამე პირის წინაშე პასუხისმგებელია აგენტის მიერ განხორციელებული საგადახდო მომსახურებისთვის ან/და აუთსორსინგული კომპანიის ქმედებით გამოწვეული შედეგისთვის. აღნიშნული არ ათავისუფლებს აგენტს ან/და აუთსორსინგულ კომპანიას საგადახდო მომსახურების პროვაიდერის წინაშე წარმოშობილი ვალდებულებებისგან.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ (შემდგომში - „წესი“) 1.1 მუხლის თანახმად, აღნიშნული წესი, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს საგადახდო მომსახურების საქმიანობიდან გამომდინარე პროვაიდერის ვალდებულებებს, მნიშვნელოვანი პროვაიდერის დამატებით ვალდებულებებს და პროვაიდერის ურთიერთობას მის აგენტებთან და სხვა მესამე პირებთან.

მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგადახდო მომსახურების განხორციელებისათვის გამოყენებული ელექტრონული სისტემა არის ტექნიკური საშუალებების ან/და პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლიობა, რომლის საშუალებით პროვაიდერს შეუძლია გადახდის ოპერაციის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გადახდის ოპერაციის შესრულებაში ჩართულ სხვა პირებთან გაცვლა, აგრეთვე, გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის უზრუნველყოფა; პროვაიდერის ელექტრონულ სისტემად არ ჩაითვლება მხოლოდ ისეთ ელექტრონულ სისტემაზე წვდომა, რომელიც გამოიყენება სხვა პროვაიდერის მიერ საკუთარი საგადახდო მომსახურების განხორციელებისთვის.

მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, აგენტთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და ასევე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პროვაიდერმა უნდა შეისწავლოს და გაითვალისწინოს: ა) საკრედიტო საინფორმაციო ბიუროებიდან ან სხვა სანდო წყაროებიდან მიღებული აგენტის შესახებ ნეგატიური ინფორმაცია, რომელიც არ არის გაბათილებული (ჩანაცვლებული დადებითი ინფორმაციით); ბ) აგენტის საშუალებით ისეთი მომსახურების განხორციელებისას, რომელიც მიეკუთვნება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე მაღალი რისკის მქონე მომსახურებებს, აგენტის

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ნასამართლობის არსებობა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის; გ) აგენტის სხვა საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვა, რომელიც კრძალავს ამ პირის მიერ საგადახდო მომსახურების განხორციელებას.

წესის მე-13 მუხლის მე-12 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აგენტმა თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს ან სხვაგვარად გახადოს ხელმისაწვდომი მომხმარებლისთვის პროვაიდერის დასახელება, რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი და პროვაიდერის ლოგო (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

წესის მე-14 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, პროვაიდერი სრულად არის პასუხისმგებელი მისი აგენტების საშუალებით საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაზე ან უმოქმედობაზე. ეს პასუხისმგებლობა ვრცელდება აგენტის საშუალებით განხორციელებულ საგადახდო მომსახურების იმ ნაწილზეც, რომელიც არ არის დარეგულირებული პროვაიდერსა და აგენტს შორის დადებული ხელშეკრულებით, მაგრამ დარეგულირებულია მოქმედი კანონმდებლობით. პროვაიდერი პასუხისმგებელია აგენტის მიერ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნების დაცვაზე.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

არსებული სამართლებრივი რეგულირების გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საქმის მოკვლევა დაიწყოს საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ, ეროვნული ბანკი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, თუ რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი საჩივარი საქმის მოკვლევის წესის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნებს, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ეროვნული ბანკი იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები, სახეზეა თუ არა მხარის მიერ მითითებული ნორმის შემადგენლობა და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ეროვნული ბანკი მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები,

არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე, როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგანაც. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილი პოზიციების, მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი შეფასების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების, ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი განსხვავდება ეროვნული ბანკის ინიციატივით საქმის მოკვლევის დაწყების რეჟიმისგან. თუ ეროვნული ბანკი საკუთარი ინიციატივით იწყებს საქმის მოკვლევას, მტკიცების ტვირთი კანონის სავარაუდო დარღვევის თაობაზე მთლიანად ეკისრება ეროვნულ ბანკს. საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ საკითხის განხილვისას კი დავის საგნის ან კონკურენციის კანონმდებლობის საწინააღმდეგო ქმედების იდენტიფიცირება და მისი მისადაგება კანონის კონკრეტული მუხლის/მუხლების შემადგენლობასთან წარმოადგენს უპირველესად მომჩივნის მტკიცების ტვირთის შემადგენელ ნაწილს.[1] აღნიშნულს ადასტურებს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერიც, რომლის მიხედვითაც, მომჩივანი განიხილება მხარედ და მას ეკისრება მტკიცების ტვირთი. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება. სააგენტოს განმარტებით, კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი შინაარსობრივად გულისხმობს, რომ თავად მომჩივანი განსაზღვრავს განსახილველ საკითხთა წრეს, ირჩევს სათანადო მოპასუხეს, უთითებს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის სახეს და ატარებს როგორც მოპასუხის სათანადოობის, ისე დარღვევის ფაქტის არსებობის დადასტურების რისკს.[2] მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი არის საკითხის განმხილველი ორგანოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. საჩივრის განხილვის ფარგლებში, სწორედ მომჩივანს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს სათანადო მტკიცებულებები და განსაზღვროს ზიანის თეორია.

ზემოთ აღნიშნული განმარტება თანხვედრაშია სააგენტოს პრაქტიკასთანაც, რომლის მიხედვითაც, საჩივრის საფუძველზე საკითხის განხილვისას მომჩივანს ეკისრება მტკიცების ტვირთი და საკითხის განხილვა (მათ შორის საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზეც) მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ცვლის სააგენტოს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების პირობებში ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების ფარგლებსა და მოცულობას. თუმცა, ინკვიზიციურობის პრინციპის ფარგლების ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ სააგენტო უარს ამბობს საქართველოს

[1] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 თებერვლის №04/161 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.11.

[2] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 5 დეკემბრის №04/266 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 55.

ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის ფუნდამენტურ ვალდებულებაზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სააგენტო შეისწავლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას, თუმცა შეჯიბრებითობის პრინციპისა და მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით განსაზღვრულ ჩარჩოში, მათ შორის, საჩივრის მატერიალურ დასაშვებობაზე მსჯელობის ნაწილშიც.[3]

ეროვნული ბანკი დამატებით აღნიშნავს, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცებულებათა სანდოობის, იურიდიული სარწმუნოობის, დამაჯერებლობისა და რელევანტურობის სტანდარტებს. ეროვნული ბანკი, ობიექტურობის საწყისებზე, მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, აფასებს მათ უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება და მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. თუ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე წარმოიშვება გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე და თუ არ არსებობს საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები, ეროვნული ბანკი მიიღებს საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ იძლევა გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას, ამიტომ, ეროვნული ბანკი საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე გონივრული ეჭვის ცნების განმარტებისას იზიარებს სააგენტოს მიდგომას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ევროკომისიისა და ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად, პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[4] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება არ არის გონივრული.[5] ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის

---

[3] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 თებერვლის №04/161 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 11-12.

[4] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), §11; საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 23 თებერვლის №04/142 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 9.

[5] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf), § 12.

სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[6] ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო აგრეთვე განმარტავს, რომ დაუსაბუთებლად დადგენილი შემზღუდველი ზომების თავიდან ასარიდებლად, კომისიამ უნდა წარმოადგინოს ისეთი ინფორმაცია და მტკიცებულება, რომელიც აღძრავს გონივრულ ეჭვს შესაძლო დარღვევის თაობაზე.[7]

ამდენად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა შეფასდეს საჩივარში დასმული საკითხის სამართლებრივი ხასიათი და მისი მიმართება კონკურენციის კანონმდებლობასთან. ეროვნულმა ბანკმა უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გაანალიზოს მხარეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და მისი ანალიზის საფუძველზე იმსჯელოს კანონის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვის სტანდარტის არსებობაზე. ამასთან, ეროვნული ბანკისთვის, როგორც მის რეგულირებას დაქვემდებარებულ სექტორში კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანოსთვის, მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. შესაბამისად, გონივრული ეჭვის სტანდარტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონკურენციის პოლიტიკის მიზნების მიღწევის პროცესში, რაც, თავის მხრივ, ეროვნულ ბანკს ანიჭებს გარკვეული ტიპის დისკრეციულ უფლებამოსილებას საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყების/არ დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა ეროვნულ ბანკს უდგენს ფორმალურ ვალდებულებას, მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ შემოსულ საჩივარზე, კერძოდ, შეაფასოს მათი ფორმალური და შემდგომში, მატერიალური დასაშვებობა. ამავდროულად, კონკურენციის კანონმდებლობა ეროვნულ ბანკს ანიჭებს კონკურენციის პოლიტიკის დამოუკიდებლად განხორციელების უფლებამოსილებას მის რეგულირებას დაქვემდებარებულ სექტორში, ეს კი გულისხმობს საქმის გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, გონივრული ეჭვის სტანდარტის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღებას მოკვლევის დაწყება/არდაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.[8]

3.2. შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

მომჩივანი წარმოდგენილ პოზიციაში მიუთითებს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ მისი კუთვნილი აპარატებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების გათიშვით შეიზღუდა მომჩივანისა და ამ ტერმინალებით მოსარგებლე მომხმარებელთა უფლებები,

[6] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77.
[7] ECJ Case C-94/00, 22.10.2002, § 61.
[8] შდრ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 თებერვლის №04/161 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 12.

ამასთან, სს „ოპპას“ პროგრამული უზრუნველყოფით სარგებლობა შეუძლია ყველა სხვა სუბიექტს, გარდა ი/მ ევგენია მერებაშვილისა, რაც მომჩივანს ართმევს შესაძლებლობას, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, უწესებს მას სხვა სუბიექტისაგან განსხვავებულ პირობებს და აყენებს არაკონკურენტულ მდგომარეობაში.

კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, ერთი ეკონომიკური აგენტის ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა, ასევე, გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება.

იმის გათვალისწინებით, რომ საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, ეროვნული ბანკი, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობების დარღვევის გონივრულ ეჭვზე. აღნიშნული მიდგომა თავსებადია ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკასთანაც, რომლის მიხედვითაც დასაშვებობის ეტაპზე კომისიის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ექცევა ის ფაქტები და სამართლის ის ნორმები, რომლებზეც აპელირებენ მომჩივანი მხარეები.[9]

როგორც აღინიშნა, დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა ორივე ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა. რომელიმე წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი, საქმის მოკვლევა ვერ დაიწყება.[10]

აღსანიშნავია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზანია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების ქცევის ჩარჩოებში მოქცევა. დომინანტური მდგომარეობის ქონა ეკონომიკურ აგენტებს აკისრებს

---

[9] ECJ Case C-119/97, 04.03.1999, § 86. იხ. http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-119/97

[10] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 23 თებერვლის №04/142 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 11.

მომეტებულ პასუხიმგებლობას, რომ არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც შესაბამის ბაზარზე დააზიანებს კონკურენტულ გარემოს. თუმცა, ხაზგასასმელია, რომ კანონის მე-6 მუხლით არ იზღუდება დომინანტური მდგომარეობის მოპოვება, არამედ აკრძალულია დომინანტი ეკონომიკური აგენტის ისეთი ცალმხრივი/ერთპიროვნული ქმედებები, რომლებიც მის ბოროტად გამოყენება ჩაითვლება. დომინანტური მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელია ჯანსაღი კონკურენციის პირობებშიც, თუკი შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტი კონკურენტებზე ეფექტიანად დაგეგმავს საკუთარ საბაზრო სტრატეგიას. შესაბამისად, მხოლოდ დომინანტური მდგომარეობის ქონა კანონის დარღვევას არ წარმოადგენს – დარღვევაა აღნიშნული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის ეკონომიკური აგენტ(ებ)ის ერთპიროვნული ქცევა. სწორედ ქმედების ცალმხრივი ხასიათი განასხვავებს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებისგან, რომელიც წინაპირობად სულ მცირე ორი ეკონომიკური აგენტის შეთანხმებულ ქცევას მოიაზრებს. შესაბამისად, თუ სახეზე არ არის კომპანიის „საკუთარი ინიციატივით“ „ერთპიროვნული“ ქმედება, არ არის კანონის მე-6 მუხლის შემადგენლობა.[11]

წინამდებარე დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეროვნული ბანკი აუცილებლად მიიჩნევს საკითხის განხილვის ფარგლებში ყურადღება გამახვილდეს მოპასუხეს, მის აგენტს (შპს „კიბერ ფეი“) და მომჩივანს შორის არსებული ურთიერთობის ბუნებაზე, სადავო ქმედების განხორციელების სამართლებრივ სივრცესა და რეგულირების სფეროზე.

მოპასუხე, სს „ოპპა“ არის ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელსაც მინიჭებული აქვს საგადახდო მომსახურების მნიშვნელოვანი პროვაიდერის სტატუსი და მისი საქმიანობა წარმოადგენს რეგულირებად საქმიანობას, მის რეგულირებასა და ზედამხედველობას კი ეროვნული ბანკი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული მანდატის ფარგლებში.

მოქმედი კანონმდებლობა, საგადახდო მომსახურების პროვაიდერს უდგენს არაერთ ვალდებულებას რეგისტრაციის მომენტიდან დაწყებული საქმიანობის განხორციელების სრული პერიოდის განმავლობაში. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 1 მაისის №77/04 ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესი“ დეტალურად განსაზღვრავს პროვაიდერად რეგისტრაციის მომენტში სუბიექტის მიერ წარსადგენ სავალდებულო დოკუმენტაციას. ზემოაღნიშნული წესით დარეგულირებულია პროვაიდერის მიერ აგენტის მეშვეობით ოპერირების საკითხები, მათ შორის, პროვაიდერის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა აგენტის საქმიანობაზე, აგენტთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში სავალდებულოდ მისათითებელი ინფორმაცია და პირობები, მომხმარებლის ფულად სახსრებთან და მათ განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

[11] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 29 თებერვლის №04/161 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 15.

შესაბამისად, ნათელია, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს მისი საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ამასთან, მითითებული სფეროს რეგულირებისა და ზედამხედველობის ვალდებულება გამომდინარეობს აღნიშნული სფეროს მნიშვნელობიდან, საქმიანობის სპეციფიკიდან, მომხმარებლისათვის სანდო მომსახურების მიწოდების აუცილებლობიდან, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან და სხვა.

მხედველობაშია მისაღები, რომ პროვაიდერი სრულად აგებს პასუხს მისი აგენტების საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაზე/უმოქმედობაზე, რამდენადაც აგენტი საგადახდო მომსახურებას აწვდის და საქმიანობას ახორციელებს პროვაიდერის სახელით. აქვე ხაზგასასმელია, რომ საკითხის მომწესრიგებელი კანონმდებლობა უშუალოდ „ქვეაგენტის“ სამართლებრივ დეფინიციას არ იცნობს, თუმცა, წინამდებარე დავის განხილვისას, კერძოდ, საკითხის კონკურენციულ-სამართლებრივ ჭრილში შეფასებისას, ეროვნული ბანკის მიზანი არ არის დაადგინოს ქვეაგენტის სტატუსით ბაზარზე ოპერირებისას ამ ურთიერთობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის/შეუსაბამობის საკითხები ან/და ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი, მხარეთა ხელშეკრულებების ნამდვილობის საკითხი.[12]

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე წინამდებარე გადაწყვეტილებაში ყურადღების გამახვილების მიზანია იმის წარმოჩენა, რომ სხვა პირის, მათ შორის, ე.წ. „ქვეაგენტის“ მიერ პროვაიდერის სახელით კონკრეტული მომსახურების გაწევისას, პროვაიდერმა უნდა იცოდეს ვინ ახორციელებს საქმიანობას მისი სახელით და ვისი ქმედებებისთვის/უმოქმედობისთვის შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე. განმარტება იმის თაობაზე, რომ პროვაიდერი პასუხისმგებელია მისი სახელით მომსახურების გამწევ პირთა, მათ შორის, ე.წ. „ქვეაგენტთა“ ქმედებებზე, საკითხის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან ერთად ეფუძნება შპს „კიბერ ფეისა“ და სს „ოპპას“ და შპს „კიბერ ფეისა“ და მომჩივანს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზსაც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ შპს „კიბერ ფეი“ არის მოპასუხის აგენტი, შესაბამისად, ის საგადახდო მომსახურების მიწოდებას ახორციელებს პროვაიდერის სახელით. მის მიერ ქვეაგენტთან ხელშეკრულების გაფორმება გულისხმობს სს „ოპპას“ მიერ შპს „კიბერ ფეისთვის“ მინიჭებული უფლებების და მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი - პროვაიდერის სახელით საგადახდო მომსახურების მიწოდების უფლებამოსილების გადაცემას მესამე პირისთვის - ქვეაგენტისთვის. აგენტის ხელშეკრულების პირობების ანალიზით ეროვნული ბანკი ადგენს, რომ სს „ოპპასთვის“ ცნობილია, რომ პროვაიდერი პასუხისმგებელია ქვეაგენტის საქმიანობის შედეგებზე. სწორედ აღნიშნულზე მიუთითებს აგენტის ხელშეკრულებაში მთელი რიგი დებულებების

[12] ეროვნული ბანკი მხარეთა მიერ წარმოდგენილ, აგენტისა და ქვეაგენტის ხელშეკრულებებსა და მათში მითითებულ სახელშეკრულებო პირობებს მხედველობაში იღებს, როგორც ფაქტობრივად არსებულ მოცემულობას და ხელშეკრულებების/მათი კონკრეტული დათქმების ნამდვილობა, კანონშესაბამისობის დადგენა, ან/და მხარეთა მიერ მათი შესრულება წინამდებარე შემთხვევაში არ წარმოადგენს შეფასების საგანს.

გათვალისწინება პროვაიდერისა და ქვეაგენტის ურთიერთობასთან დაკავშირებით. მაგალითად, აგენტის ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ქვეაგენტის სტატუსის მინიჭების საფუძველია აგენტის მიმართვა პროვაიდერისთვის და აგენტი ვალდებულია წარუდგინოს პროვაიდერს ინფორმაცია და დოკუმენტაცია მასზე და მასთან დაკავშირებულ ქვეაგენტებზე. ხელშეკრულებაში მითითებულია ასევე, რომ აგენტის ან მისი ქვეაგენტის ტერმინალებით განხორციელებული წარუმატებელი ტრანზაქციის, გადახდის მცდელობის ან სხვა შემთხვევაში, როდესაც დგება მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნების ვალდებულება, მომხმარებლისთვის თანხის დაბრუნებას ახორციელებს პროვაიდერი და აგენტი არ არის უფლებამოსილი, მოახდინოს მომხმარებელთან ანგარიშსწორება. ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სხვა მეწარმე სუბიექტს/ქვეაგენტს ქვეაგენტის სტატუსი და გადახდების მიღების უფლება წარმოეშობა მხოლოდ პროვაიდერის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდგომ, ბრძანებაში მითითებული თარიღიდან და სხვა მეწარმე სუბიექტისთვის ქვეაგენტის სტატუსის და გადახდის მიღების უფლების მინიჭება წარმოადგენს პროვაიდერის უფლებას და არა ვალდებულებას, ამასთან, ქვეაგენტის სტატუსის და გადახდების მიღების უფლების მინიჭებისთვის ქვეაგენტის სტატუსის მქონე პირმა უნდა წარადგინოს პროვაიდერის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები და ინფორმაცია და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებას.

ამ დავის განხილვის მიზნებისთვის, ეროვნული ბანკი დადგენილად მიიჩნევს, რომ სს „ოპპასთვის“ უცნობი იყო შპს „კიბერ ფეისა“ და მომჩივანს შორის გაფორმებული ქვეაგენტის ხელშეკრულების თაობაზე. ამას ადასტურებს, ერთი მხრივ, მომჩივანის მითითება და ის გარემოება, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია მასსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 მუხლით გათვალისწინებული სს „ოპპას“ ბრძანება პროვაიდერის მიერ ქვეაგენტისთვის სტატუსის მინიჭებისა და გადახდების მიღების უფლებამოსილების შესახებ და მეორე მხრივ, შპს „კიბერ ფეის“ წერილობითი განმარტება, რომლითაც აგენტმა დაადასტურა, რომ მის მიერ არ მომხდარა სს „ოპპას“ ინფორმირება შპს „კიბერ ფეისა“ და ი/მ ევგენია მერებაშვილს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. ამასთან, სს „ოპპას“ მიერ წარმოდგენილია შპს „კიბერ ფეისა“ და სს „ოპპას“ შორის ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებული მიმოწერა, რომელიც შეეხება მომჩივანის მიერ მითითებული, კონკრეტული პროგრამული ნომრების მქონე ტერმინალების სს „ოპპას“ სისტემაში ჩართვის მოთხოვნას და შპს „კიბერ ფეის“ მიერ მოპასუხისთვის მიწერილ წერილებში მომჩივნის ვინაობა, ან/და რაიმე ხაზგასმა იმის თაობაზე, რომ ეს ტერმინალები ეკუთვნის ი/მ ევგენია მერებაშვილს, მითითებული არ არის.

ეროვნული ბანკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომჩივანის მიერ წარმოდგენილი, ქვეაგენტის ხელშეკრულების 9.1 მუხლის თანახმად, მიუხედავად ხელშეკრულების ძალაში შესვლისა, ქვეაგენტს გადახდების მიღების უფლებამოსილება ენიჭება პროვაიდერის მიერ ქვეაგენტისთვის სტატუსის მინიჭებისა და გადახდების მიღების უფლებამოსილების შესახებ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლში მითითებული ბრძანება იქნებოდა იმის პირდაპირი მტკიცებულება, რომ მოპასუხისთვის ცნობილი გახდა და მან დაადასტურა ი/მ ევგენია მერებაშვილთან

სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა. თუმცა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მოპასუხისთვის უცნობი იყო მომჩივანისა და შპს „კიბერ ფეის“ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, შესაბამისად, მოპასუხეს არ გაუცია თანხმობა ი/მ ევგენია მერებაშვილის მიერ სს „ოპპას“ სახელით საგადახდო მომსახურების განხორციელების შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საჩივრის საფუძველზე დაწყებული წარმოების ფარგლებში მომჩივანმა სანდო, რელევანტური და დამაჯერებელი მტკიცებულებებით უნდა დაადასტუროს მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. აღსანიშნავია, რომ წარმოების ფარგლებში მხარეთა მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია და მტკიცებულებები ეროვნული ბანკის მიერ ფასდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად. თითოეული მტკიცებულების შეფასება ხდება ზოგადად მტკიცებულებების შეფასებისათვის დადგენილი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებით. წინამდებარე შემთხვევაში, ეროვნული ბანკი აღნიშნავს, რომ მომჩივანის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი Excel-ის დოკუმენტი, უპირველეს ყოვლისა, არ აკმაყოფილებს სანდოობისა და დამაჯერებლობის სტანდარტს, ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული დოკუმენტი ჩაითვლებოდა ვალიდურად, შინაარსის გათვალისწინებით, ის გავლენას არ ახდენს წინამდებარე გადაწყვეტილების შედეგზე, რამდენადაც მასში მითითებული ინფორმაცია არ ცვლის ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხემ არ იცოდა მომჩივანსა და შპს „კიბერ ფეის“ შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. შესაბამისად, ეროვნული ბანკი, მომჩივანის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგენილად ვერ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო მომჩივანის, როგორც შპს „კიბერ ფეის“ ქვეაგენტის შესახებ და იმ გარემოების თაობაზე, რომ პროგრამულ უზრუნველყოფას აწვდიდა არა შპს „კიბერ ფეის“ სწრაფი ჩარიცხვის აპარატებს, არამედ მომჩივანის კუთვნილ აპარატებს.

ეროვნულ ბანკში წარმოდგენილ პოზიციებში მოპასუხე აღნიშნავს, რომ ის არ ყოფილა ინფორმირებული შპს „კიბერ ფეის“ მიერ ქვეაგენტების ყოლის ფაქტთან დაკავშირებით და ქვეაგენტის ყოლის უფლება აქვს მხოლოდ პროვაიდერ კომპანიას. მომჩივანის მიერ მითითებული პროგრამული ნომრების მქონე, კონკრეტული ტერმინალები, სს „ოპპას“ სისტემაში ჩართული იყო შპს „კიბერ ფეის“ მიმართვის საფუძველზე და აღნიშნული ტერმინალები ოპერირებდნენ სს „ოპპასა“ და შპს „კიბერ ფეის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, აგენტის წერილობითი მიმართვის შესაბამისად. ტერმინალების გათიშვის მიზეზად მოპასუხე ასახელებს სწორედ იმ გარემოებას, რომ ტერმინალების განთავსების ადგილების მონიტორინგის შედეგად, მას გაუჩნდა ეჭვი, რომ შპს „კიბერ ფეის“ შესაძლოა ჰყოლოდა ქვეაგენტი, რომელთანაც სს „ოპპას“ არ ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული.

ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სახელით საგადახდო მომსახურების გამწევი სუბიექტების ქმედებათა გამო მესამე პირებისა და ეროვნული ბანკის წინაშე ანგარიშვალდებულია სს „ოპპა“, შესაბამისად, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ობიექტურ და არადისკრიმინაციულ საწყისებზე დაყრდნობით თავად განსაზღვროს მისი აგენტის/ქვეაგენტის ვინაობა.

წინამდებარე შემთხვევაში, რამდენადაც მოპასუხისთვის უცნობი იყო და მონიტორინგის შედეგად წარმოეშვა ეჭვი კონკრეტული ტერმინალების არა შპს „კიბერ ფეის“, არამედ მესამე პირის საკუთრებაში არსებობასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით პროვაიდერისთვის დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ამ ტერმინალებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების შეწყვეტა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ვერ განიხილება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევად და შესაბამისად არ წარმოიშობა გონივრული ეჭვი კონკურენციულ-სამართლებრივი დარღვევის არსებობის შესახებ.

ამასთან, ხაზგასასმელია, რომ თავად მომჩივანს არ მიუმართავს მოპასუხისთვის აგენტის ხელშეკრულების გაფორმების, ან ქვეაგენტის სტატუსით, შპს „კიბერ ფეის“ გავლით მომსახურების მიღების მოთხოვნით და ამ მხრივ მოპასუხისგან არ მიუღია უარი ხელშეკრულებაზე.

ეროვნული ბანკი განმარტავს, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას ის შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომჩივანმა ვერ შეძლო სათანადო მტკიცებულებები წარმოედგინა გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, რაც საკმარისი იქნებოდა სს „ოპპას“ მხრიდან საბაზრო ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების სადემონსტრაციოდ. ამასთან, მომჩივანს არ უცდია მოპასუხესთან სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა და მისგან თანხმობის მოპოვება პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებისა და მოპასუხის სახელით საგადახდო მომსახურების განხორციელების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, სახეზე არ არის სადავო ნორმის შემადგენლობა და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი. ამდენად, ეროვნული ბანკი კონკურენციულ-სამართლებრივი მოკვლევის დაწყებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლი 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 47^8 მუხლის, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დაუშვებლად იქნას ცნობილი ი/მ ევგენია მერებაშვილის (პ/ნ 01001054936) 2025 წლის 14 ივლისის საჩივარი და მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე.
2. წინამდებარე ბრძანება გაეგზავნოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს.
3. ბრძანება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი